

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №42, 29.07.2005, მუხ. 303) მე-13 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ პუნქტი:

„3¹. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ფორმით პრივატიზებისას შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ უნდა მოსთხოვოს პირს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 19¹ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის წარმოდგენა. იმ შემთხვევაში, თუ რეესტრში შეყვანილი პირი ამ კანონით დადგენილი წესით მოიპოვებს ქონებაზე საკუთრების უფლებას, შესაბამისი სახელმწიფო ორგანო ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს აღნიშნულის თაობაზე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2009 წლის 1 ივნისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი